პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2026 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის ა(ა)იპ „საჭადრაკო კლუბი ნონა“-ს და ა(ა)იპ „ბათუმის საცხენოსნო კლუბი“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-მუხლის მე-2 პუნქტის და 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჭადრაკო კლუბი ნონა“-ს (ს/№445426138) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საცხენოსნო კლუბი“-ს (ს/№445419137) ლიკვიდაცია და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ივანე მაისურაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის ა(ა)იპ „საჭადრაკო კლუბი ნონა“-ს და ა(ა)იპ „ბათუმის საცხენოსნო კლუბი“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის

წინამდებარე განკარგულების მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჭადრაკო კლუბი ნონა“-ს (ს/№445426138) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საცხენოსნო კლუბი“-ს (ს/№445419137) ლიკვიდაციის დაწყების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის/აქციების შეძენის შესახებ ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად გახდომის შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. მართვის ოპტიმიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნული კერძო სამართლის იურიდიული პირების უფლება-მოვალეობანი გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის სპორტული ცენტრი“-ს (ს/№245602110). ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ლიკვიდაციის პროცესის დაწყება, დაკავშირებულია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებასთან, კერძოდ, მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულებასთან, ფინანსური ვალდებულებების დაანგარიშებასთან და ა.შ. მიზანშეწონილია ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისათვის ოპტიმალური პერიოდის შერჩევა, რის თაობაზეც შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული იქნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჭადრაკო კლუბი ნონა“-ს (ს/№445426138) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საცხენოსნო კლუბი“-ს (ს/№445419137) ლიკვიდაციის დაწყების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

განკარგულების პროექტის მიღებიდან გამომდინარე არ არის საჭირო რაიმე სახის ხარჯის გაწევა.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარკულების პროექტის მიხედვით, ლიკვიდაციის პროცესის შედეგად შემცირდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღებისას საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში თავოისუფლდება ფინანსური სახსრები.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

განკარგულების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

განკარგულების პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციის უფროსი **მარიამ ხაზარაძე**